სახალხო გაზეთი

№ 772 ოთხშაბათი, 12 დეკემბერი 1912 წ. № 772

განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-იდან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებითი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სახალხო გაზეთზე“

წელიწადი მეოთხე — წელიწადი მეოთხე

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის-მომწერნი არიან, 1913 წლის განმავლობაში **მიიღებენ**

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის გამოჩენილ მწერლებისა, ზომით იქნება არა ნაკლებ **400 გვერდისა** და წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **იანვრის დასასრულს.**

2) ქართველი მწერლები.

ამ წიგნში შევა ქართველ მწერალთა სხვა და სხვა ნაწარმოებნი, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული ზომით იქნება არა ნაკლებ **500 გვერდისა** და წლიურ ხელის-მომწერთ **დაურიგდებათ ეკვნისთვეში.**

გაზეთის ფასი როგორც ტფილისში, ისე მის გარედ ღირს წელიწადში ისევ 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ., ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის ფასი

	წლ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
ტფილისში და მის გარედ	8 მ. 50 კ.	8 მ. —	7 მ. 50 კ.	6 მ. 75 კ.	6 მ. —	5 მ. 25 კ.	4 მ. 50 კ.	3 მ. 75 კ.	3 მ. —	2 მ. 25 კ.	1 მ. 50 კ.	— 75 კ.
საზღვარ გარედ	11 მ. 50 კ.	10 მ. 75 კ.	10 მ. —	9 მ. —	8 მ. —	7 მ. —	6 მ. —	5 მ. —	4 მ. —	3 მ. —	2 მ. —	1 მ. —

ცალკე ნომერი ყველგან შაური; დამატებიანი ნომერი შვიდი კაპიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის-მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე . . . 3 მ.,
1 აპრილამდე . . . 2 მ.,
1 თიბათვემდე . . . 2 მ.,
1 ენკენისთვემდე . . . 1 მ. 50 კ.

2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს.

2) ქ. შორის წერა-კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავადაზნაურთა ქარვასლა.

3) ფოსტით. Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“. поч. ящ. 190.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს,

ქართ. დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ ალ. მ. კარგარეთელის საბენეფისოდ

პირველად ტფილისის ქართულ სცენაზე სახელგანთქმული პიესა

ჰანრი — მეფე ნავარიისა ისტორიული დრ. 5 მ. თარგმ. ი. ბარელისა.

დედოფალ მარგოს როლს შეასრულებს ქ-ნი ალ. მ. კარგარეთელი.

✦ დამზადებულია ახალი ტანისამოსი ✦

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, დავითაშვილი, კარგარეთელი, დოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, ზოთაძე, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, ჯედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამ. 8 საათზე. ადგილ. ფასი საბენეფისოა.

ა ნ ო ნ ს ი: კვირას, 16 დეკ., წარმოდგ. იქნება: 1) სიმახინჯე, დრ. 4 მოქ. შიუკაშვილისა, 2) უბედური დღე, მხიარ. ვოდ. ერთ მოქ. ვ. ბალანჩივაძისა.

1628 რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

ელექტრო-ტეხნიკური საწყობი

პ. ი. გურგენოვისა და გ. ი. ბეგოვისა

ტფილისი, სერგიევის ქუჩა, № 4.

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვინაიდან მომავალი 1913 წლის 1-ლ იანვრიდან საწყობი გადადის ახალი ფირმის **„სავაჭრო სახლი იაკობ სვიმონის ძე ბეგოვი“**-ს ხელში ამ მიმდინარე დეკემბრის 10-დან თვის დამლევამდე დანიშნულია **დიდი იაფი გაჩრობა** საელექტრო ჭაღებისა და ყოველგვარ ელექტრონის გასანათებელი მასალებისა.

ფასები მეტად დაკლებულია. 860

პატივისცემით პ. ი. გურგენოვი და გ. ი. ბეგოვი.

გაგრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(ავრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, ვისაც დასავეთ ფულის ნაწილი უკვე შემოტანილი აქვს დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია ავლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. ქავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბელიაშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

---

16 დეკემბერს ამა მიმდინარე წლისა დანიშნულია

საგანგებო კრება
ხონის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა

ხონის სავაჟო პროგიმნაზიაში 11 საათზე დილით, დამატებითი კრედიტის გადასადებად საკუთარი შენობის ასაშენებლად. 1166.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან **ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დადიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფიდლეროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. **ე. ა. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) $11^1/_2$ $12^1/_2$.
ქალთა და სამშობიარო სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **ოიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბაკოვი ბ ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებანი.	ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფიდლეროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **დადიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2.
თვალ. სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა მანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის ცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ** შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხე). ტელეფ. 7—92. 847

წელიწადი მეთხუთმეტე.

დამუნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე

ს ა ნ დ ო,

გიორგი მ. ჩიქაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

[illegible]

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათ. დან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ნაფიც-ვექილ. თანაშ.

გიორგი პავლეს ძე ბორდჟაძიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაძე. ყოველ დღე; შინაგან ავადმყ. $9^1/_2$—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

ნ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ექ. ქალი ოოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ. ხათობით. ხუთშაბათობით და შაბათობით 11—$11^1/_2$ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოირიგებიან,

წამლობა „606“

ექიმი ი. კ. აბაშელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$ საათ. ელისაბედის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 [illegible] საათ. [illegible] № 6

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. ოლღინის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

თავადი დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი, კნეინა სოფიო ერასტის ასული მხეიძე, ელისაბედ ერასტის ასული მამაცოვისა და კნეინა მარიამ ერასტის ასული ჩოლოყაშვილისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას დედის

კნეინა ანნა იაგორის ასულის ჩოლოყაშვილისას,

ქ. თელავში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. გამოსვენება ცხედრისა ხუთშაბათს, 13 დეკემბერს ტფილისის კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება დილის 10 1/2 საათზე. 35

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

10 დეკემბერი.

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

ნაციონალისტებმა შეიტანეს წინადადება, რათა სათათბიროში დაარსდეს ცალკე კომისია რომანოვთა საგვარეულოს სამასი წლის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად.

პოდოლსკის გუბ. არჩევნები დაამტკიცეს.

დეკლარაციის განხილვა გრძელდება.

მინისტრთა ლოჟაში ზის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი.

მეიენდორფი. ოქტომბრისტთა ფრაქცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მინისტრის დეკლარაციას მშვიდობიანი კილო ჰქონდა. მთავრობა მორიგებ.ს გზას დაჰდგომია, ეს გარემოება სრულს იმედს გვინერგავს რომ ბოლოს და ბოლოს რუსეთი თავის საკანონმდებლო დაწესებულებაში გამაერთიანებელ ძაფს ჰპოვებს. აღნიშნავს, თუ როგორ შეხვდა სხვა და სხვა მთავრობის განცხადებას: ორი უკიდურესი ფრთა სცდილობდა თავისით გამოეჩინა რაღაც არა ჩვეულებრივი ძალა, რომელიც ხალხის შეგნებაზეა აღმოცენებული. ორივე მიმართულება მუქარის კილოთი ლაპარაკობდა. მემარცხენენი უფრო თავაზიანად და ზომიერად ლაპარაკობდნენ, მემარჯვენენი კი ყოყოჩობდნენ. ამ ყოყოჩობით მემარჯვენეთ ჰსურდათ გამოეჩინათ დამოუკიდებელი ძალა, ვითომდა ხალხის სურვილი. მემარჯვენეებს ამითი ჰსურდათ ეთქმევინებინათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისთვის ისტორიული სიტყვები: „ვერ შეგვაშინებთ" (ტაშის ცემა ცენტრში). უკიდურესი ელემენტები მუდამ სცდილობენ აღელვონ ხალხი, წაართონ მას კეთილ გონიერება და ამაზე ააგონ თავისი პოლიტიკა. ამით სამსახურს ვერ გაუწევენ ვერც თვით მართებლობას, ვერც რუსეთის სახელმწიფოს. ოქტომბრისტებს ჰსურთ თვისი პოლიტიკა ხალხის საღ გონიერებაზე დაამყარონ. კადეტების სიტყვებში ბევრი ისეთი რამ ითქვა, რასაც სამწუხაროდ, ოქტომბრისტები იძულებულნი არიან დასთანხმდნენ. მაგრამ მათი სიტყვებიც ვერ ასცდა პოლიტიკურ გადაჭარბებას, მაგალითად შინგარევმა ისარგებლა მემარჯვენე ორატორის სიტყვით როცა აღნიშნა: მემარჯვენენი რეფორმების სახით ხალხს გაწკეპლის აღდგენას ჰპირდებიანო. მიკვირს, რად დასჭირდა შინგარევს გადაესხვაფერებინა გაბედული სიტყვა მემარჯვენისა! იმანა სთქვა- წკეპლა ნაძირალებსო. იშვიათად მინახავს ამგვარი მაგალითი თავგანწირულებისა და მოქალაქობრივ გამბედაობისა (მარცხნივ და ცენტრში სიცილია). ნაძირალებთან ბრძოლა უუსაჭიროესი საკითხია რუსეთისთვის,—და განა გასაოცარი არ არის რომ კანონს ის ნაწილი გვაწვდის, რომელიც პირველი იგემებს ასეთ კანონის სიტკბოებას (სიცილი, ტაშის ცემა).

ოქტომბრისტებს თავის ერთადერთ მოვალეობად მიაჩნიათ ხელი შეუწყონ მთავრობის ძალის განმტკიცებას, ზნეობრივ მოთხოვნილებათა მიხედვით. მონარქიული თვალსაზრისით — ოქტომბრისტები ჰფიქრობენ, ვითომც, რაკი ძირითადი კანონები მოითხოვენ, რომელიმე კანონის გამოსაცემად სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დასტურს, მონარქისტების აღსასრულებლად ეს პრინციპი უნდა დაცული იყოს.

ეს არის, ის კონსტიტუციონური დებულება, რომელზედაც ოქტომბრისტები სდგანან. მონარქიულ წესწყობილების დროს, ყოველივე ექვემდებარება თვითმპყრობელის სიტყვას და ნებისყოფას. ამ მხრივ მღელვარებზე და არევდარევაზე ლაპარაკი დანაშაულობაა არა მარტო რუსი ხალხის წინაშე, არამედ თვით მონარქის წინაშეც (ცენტრში ტაშის-ცემაა).

ჩხენკელი მთავრობა კვლავ აწარმოებს არარუსთა საწინააღმდეგო პოლიტიკას რომელიც საფუძვლად ედო მესამე სათათბიროს მოქმედებას. მოლაპარაკე დაწვრილებით აღნუსხა თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა საქართველოსი: საქართველოში ადმინისტრაციის თვითნებობა განუსაზღვრელია. საქართველოს გლეხობა მიწის სივიწროვით არის შეწუხებული; საგანგებო დადგენილებანი აქ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. დეკლარაციამ კი სრულიად არა სთქვა რა კავკასიაში ერობის შემოღების თაობაზე. მთავრობა უარს ამბობს ტფილისში უნივერსიტეტის დაარსებაზე. სოციალ-დემოკრატები შევიწროვების და თვითნებობის წინააღმდეგ იბრძვიან.

ტყუილია ის ბრალდება, ვითომც არა-რუსნი სეპარატიზმით იყვნენ გამსჭვალულნი. მთავრობისა და მესამე სათათბიროს ცდამ ვერ შესძლო არა-რუსნი გაერიყა (ტაშის-ცემა მარჯვნივ).

კარაულოვი. დეკლარაციამ გვერდი აუხვია კავკასიის საჭიროებას. კავკასია დიდი ხანია საკანონმდებლო დაწესებულებებისაგან დაკმაყოფილებას ელის. კავკასიის კულტურულ და ეკონომიურ ზრდას ხელოვნურად აფერხებენ; მის წარმატებას განზრახ წინ ეღობებიან. საჭიროა მუშაობა კავკასიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაუბრუნდება იმ სისხლის ეპოქას, რაც არავისათვის არ იქნება სასურველი, მაგრამ გამოწვეული იქნება სხვა და სხვა მიზეზების გამო (ტაშის ცემა მარცხნივ და ცენტრის ნაწილში).

დეკლარაციამ სრულიად დაივიწყა რუსეთის ყაზახობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი პირნათლად ასრულებდა და ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. წინად ყაზახებისთვის ომი გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა, ეხლა კი ომი მის განადგურებას მოასწავებს.

ყაზახების უპირატესობას მხოლოდ მოწინავე რაზმებში ბრძოლა შეადგენს. იგი დღითი-დღე ღარიბდება და ღატაკდება. მოლაპარაკე მოითხოვს—უსაჭიროესი მოთხოვნილებანი ყაზახებისა სათათბირომ დააკმაყოფილოს (მარცხნივ და ცენტრში ტაშის ცემა).

ბელიკოვი. დეკლარაციას არაფერი უთქვამს იმ კანონ-პროექტზე, რომელიც თავის დროს შეტანილი იყო სათათბიროში. კონფესიების წეს-რიგის ცვლილებაზე გაჩუმება იმისი მომასწავებელია, რომ მთავრობას არა ჰსურს არსებული და შეუფერებელი წესები ახალით შესცვალოს. მოლაპარაკე ასე აბოლოვებს სიტყვას:

თუ სათათბირო შეიცვლის ცოტაოდნად სამოქმედო გეგმას და დათმობის გზას დაადგება, რუსეთს ელირსება ბევრი კანონ-პროექტის მიღება, რაც ჩამოთვლილი იყო დეკლარაციაში და რასაც გულის ძგერით მოელის მთელი რუსეთი.

ჯაფაროვი. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, მუსულმანები იმედოვნებდნენ, რომ მოისპობა უფლებათა შეზღუდვა; მაგრამ რასა ჰხედავენ დღეს? უფლებათა შეზღუდვა უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს. მოუწესრიგებლობის მოსპობა შეადგენს ერთ უსაჭიროეს მოთხოვნილებას მუსულმანთათვის. ამ მიზნის მისაღწევად იმოქმედებს მუსულმანთა ფრაქცია (მარცხნივ ტაშის ცემაა).

მარკოვი მეორე მეიენდორფს უპასუხებს. სათათბიროს უკიდურესთა ბანაკში 300 წევრია. ეს რიცხვი თითქმის ჩრდილავს ცენტრს. იმის თქმა' ვითომც მთავრობა არჩევნებში მემარჯვენეებს ეხმარებოდა, სრულიად უსაფუძვლოა: მთავრობა მათ წინააღმდეგ ილაშქრებდა. მემარჯვენეთა პარტია ულრმესად ხალხოსნურია. მაინცა და მაინც ხალხთან მემარჯვენეებს გაჰყვება და მემარცხენეებს. ოქტომბრისტებს ხალხთან საერთო არა აქვთ რა და მათ ხალხიც გაურბის. მემარჯვენენი დემაგოგიურ ფანდებს არ ხმარობენ; დემაგოგობს ცენტრი, რომელიც სამღვდელოებას ნივთიერ გაუმჯობესებას ჰპირდება, მესამე სათათბიროში კი ოქტომბრისტები მოქმედებენ ეკლესიისა, სამრევლო სკოლისა და უწმინდეს კანონების წინააღმდეგ (ხმები ცენტრში: „სიცრუეა"). ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება სამღვდელოებისა ეკლესიის დაღუპვა იქნება. მარკოვს უკვირს, რომ ოქტომბრისტების პრინციპია — მთავრობისგან მტკიცება ზნეობის მოთხოვნილებათა მიხედვითო. ეს არის მემარჯვენეთა ლოზუნგი. რაც შეეხება მეიენდორფის მტკიცებას, ვითომც ძირითადი კანონების ძალით არც ერთი კანონი არ შეიძლება დამტკიცდეს სათათბიროს და საბჭოს დაუდასტურებლივ, მარკოვს მოჰყავს 75 და 4 მუხლი ძირითადი კანონებისა. პირველის მიხედვით ხელმწიფე კანონზე მაღლა სდგას, მეორის მიხედვით იგი თვითმპყრობელია. ჩვენ არავითარი კონსტიტუციაც არა გვაქვს; ეს შეამბოხეთა სურვილია. გაუმარჯოს თვითმპყრობელობას, შორს კონსტიტუცია! (ტაშის-ცემა მარჯვნივ).

ბულიგინი. რაც ეხლა ითქვა ამ ტრიბუნაზე მესამე სათათბიროს ულრმესი შეურაცყოფაა: რაც შეეხება განცხადება დაბეჩავებულ (?) რუსეთზე, ჭეშმარიტებაა. თუ თვითმოქმედებაზე არის ლაპარაკი, ამას მხოლოდ ნაციონალისტები ამბობენო. თუ მემარცხენენი ამბობენ, რომ ხალხი მიწას მოითხოვს იგი პურისთვის მოითხოვს მხოლოდ მიწას. მესამე სათათბირომ აღმოუჩინა საღსარი ხალხს მიიღოს პური, სამჯერ, ოთხჯერ მეტი იმაზე, რაც საჭირო იყო. ბულიგინი შეეხო მთავრობის დეკლარაციას. სხვა და სხვა მიმართულების ხალხმა მთავრობაზე ერთნაირი იერიში მიიტანა. ეს იმით აიხსნება, რომ მთავრობა წარმოადგენს მრაცალ კუთხედს, და ყოველი იმ მხარის წინააღმდეგ მიდის, რომელიც არ მოსწონს. ბულიგინს ნიშანში ამოღებული ჰყავს კოკოვცევი. ამის მიზეზი დეკლარაცია არ არის. რა გინდ აზრთა სხვა და სხვაობა იყოს, ჭეშმარიტად რჩება ის, რომ რუსი ხალხი გასაჭირშია: ჩვენ მარტო უნუგეშოდ კი არ ვართ ჩამორჩენილნი, არამედ საშინელი ტრაღედია ტრიალებს: ჩამოვრჩით პოლონელებს, ფინებს, ებრაელებს, გერმანელებს, ჩეხელებს. იმდროს როცა დაბალი კლასები იფლობა უვიცობაში და სიბინძურეში, მაღალი კლასი ამრავლებს დასასნეულებლ ხალხს. საჭიროა არა ჩვეულებრივი ენერგიის დახარჯვა საქმის გამოსასწორებლად, რუს ხალხის სწორე გზაზე დასაყენებლად. არ არის ისეთი შემოქმედებით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც დღედა ღამეს გაასწორებს ადამიანის შესაქმნელად კოკოვცევი ნაციონალისტებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მას არა ეკითხებაო და არა იცისრა. ნაციონალისტები ამაში სდებენ ბრალს კოკოვცევს. არ არის გეგმის სიფართოვე, სივრცე; არსად სჩანს გაბედულება, სითამამე დრო კი ამას მოითხოვს. ნაციონალისტები მოითხოვენ მიიღონ ზომები დასავლეთ რუსეთში ვაჭართა კლასის შესაქმნელად. ბულიგინი იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა იღონებს რასმე და გამოიყვანს რუსეთს იმ დუხჭირს სარდაფიდან, საცა მას უხდება ყოფნა, შეიყვანს საგანგებოდ ლამაზ დარბაზში, საცა მიწიდანაც იქნება სინათლე და სითბო (მემარჯვენეთა და ცენტრების ტაშის ცემა). შეიტანეს წინადადება დაინიშნოს სალამოს სხდომა უქვეშევრდომილეს ადრესის განსახილველად.

თავმჯდომარე. რადგანაც კომისიის მოხსენება ჯერ არ მოსულა, წევრებს ვერ დაურიგდათ იგი.

ზამისლოვსკი. უქვეშევრდომილეს ადრესის წარდგენის წინადადება ერთხმად იყო მიღებული. კომისიას დაენიშნა სამი დღის ვადა. ეხლა 10 დეკემბერია და არაფერი კი არ გაკეთებულა. მოხსენების უქონლობა ცარიელი ფორმალისტობაა. ყველამ ვიცით, რომ კომისიამ ყველა პროექტი უარჰყო და არავითარი მოხსენების წარდგენა არ შეუძლიანო. ოთხშაბათს ხელმწიფე იმპერატორი მიიღებს სათათბიროს დეპუტატებს და ადრესი სულ მეტი იქნება. ეს საქციელი უალრესი ფარისევლობაა.

გრ. ბენიგსენი. კომისიაში მუშაობა არ შეჩერებულა. მოხსენება უკვე სტამბაშია გაგზავნილი და დღესვე იქნება მზად. განზრახვით არ მოგვსვლია საქმის გაჭიანურება.

პურიშკევიჩი. ზამისლოვსკი კომისიას არ უსაყვედურებდა. მან მიგვითითა იმაზე, თუ როგორ მოეკიდა საქმეს სათათბიროს უმრავლესობა. თუ დღეს სხდომა არ იქნება დანიშნული, ნაციონალისტები და მემარჯვენენი [illegible] ადრესს, [illegible] რომ ამისთანა [illegible] საქმე გააჭიანურეს. ხმის უმრავლესობით წინადადება უარყოფილი იქმნა.

შემდეგი სხდომა ხუთშაბათს იქნება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ გუშინ ტფილისის **ქალაქის მოურავმა ა. ხატისოვმა** ბაქოდან დეპეშით აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ბაქოს ნავთის მრეწველთა კრებამ კავკასიის უმაღლეს სასწავლებლისათვის გადასდო 400,000 მანათი. გამგეობამ სასწრაფო დეპეშა გაგზავნა საპასუხოდ და დაავალა ბ-ნ ა. ხატისოვს, ულრმესი მადლობა განუცხადოს ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს ასეთ უხვ შემოწირულობისათვის.

✦ **კურსები.** მეფის მოადგილემ ნება დართო, 10-დან 17 იანვრამდე გამართონ ტფილისში ბალახის ავადმყოფობასთან საბრძოლველი კურსები.

✦ **მირზოევის სახელობის სტიპენდიები.** ქალაქის გამგეობამ მირზოევისეული 160 პაი გაჰყიდა, თითო 2,700 მან. წინად განზრახული იყო გაყიდულ ფულით 35 სტიპენდია დაეარსებინათ. რადგანაც პაიები კარგ ფასში გაიყიდა, ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა 60 სტიპენდია დაარსოს.

✦ **ბამბა.** როგორც სასტატისტიკო ცნობები გადმოგვცემს, წელს კავკასიაში 850,000 ფუთი ბამბა მოსულა.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 10 დეკემბერს საწამლავი დალია თავის ბინაზე (ლისოგორსკის მისახვევი ℮.), ზინაიდა ანდრიას ასულმა პატაშნიკოვმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **საქალაქო ბაქში** წარსულ ნოემბრის განმავლობაში 9,443 სული მსხვილ-ფეხი საქონელი მოუკლავთ. გაყიდულა 6,334 სული.

✦ **ფუნიკულერი** კვირა-უქმე დღეებში იმუშავებს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

✦ **ცეცხლი.** გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზე, სასახლის ქუჩაზე, ცეცხლი გაუჩნდა ვართანოვის საპარიკმახეროს. ცეცხლმა 1000 მან. ზარალი მიაყენა. საპარიკმახერო დაზღვეული არსად არ ყოფილა.

✦ **ჭერის ჩამონგრევა საავადმყოფოში.** 10 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ქალაქის ცენტრალურს საავადმყოფოში, სახელდობრ ექიმ გედევანიშვილის კაბინეთში ჭერი ჩამოინგრა იმ დროს, როდესაც კაბინეთში

კრიტიკული შენიშვნები

ე. ჩირიკოვის ახალმა რომანმა საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მრავალი კრიტიკული წერილი იქნა მოთავსებული ამ რომანის შესახებ რუსულ გაზეთებში. ყველა ერთხმად აღიარებდა: ჩირიკოვის რომანის წაკითხვის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქავს კაცი, პშიბიშევსკისა, არციბაშევისა და სხვათა ნაწარმოებთაგან სასომიხდილიო. მართლაც ღირსია ხსენებული ნაწარმოები, რომ შევჩერდეთ მასზე და ქართველ მკითხველსაც გავაცნოთ მოკლედ. რასაკვირველია, ამ მხრივ პირველად ყოვლისა ნაწარმოების შინაარსზე შევჩერდე*)ით.

გენადი ტარხანოვი (?!) უკვე უკანასკნელ ეგზამენებისათვის ემზადება, რის შემდეგაც სიმწიფის მოწმობა უნდა მიიღოს. იგი ქალაქის ბაღში ერთს მყუდრო ადგილს თავშეფარებული, ისტორიისა და გეოგრაფიის მზადებაშია. სრულიად მოულოდნელად იქვე მახლობლად ჩამოჯდება გიმნაზიის მოსწავლე ქალი, ზოია, რომელიც გიმნაზიას ამთავრებს და უკანასკნელ ეგზამენისთვის ემზადება. მოულოდნელადვე შეხედავს მას გენადი და მისი სახე ღრმად ჩაეჭდობა მის ნორჩ სულს. ამის შემდეგ გენადი სულ ზოიას ძებნაშია, მუდამ მოდის იმ ხის ძირს, სადაც ზოია იჯდა ხსენებულ დღეს და მოწიწებით ეამბორება ამ ადგილს. ბოლოს გენადი გაიცნობს ზოიას და ალგებრაშიაც კი მეცადინობს მასთან. სწორედ საუცხოვოდ აქვს გადმოცემული ავტორს პირველი გაკვეთილი: გენადის, რომელიც ჰგრძნობდა, რომ მისი ახლად აღმობრწყინვებული მზე მის გვერდით იჯდა, სიხარულისაგან აზრი ებნეოდა; „ხშირად იგი ჰგრძნობდა აგრეთვე, რომ ზოიას სუნთქვა მის ლოყებს ელამუნებოდა და ამ წუთებში მის თვალებში იქსი და იგრეკი ერთმანეთში ირეოდა. აღარ გავაგრძელებ, ორი ახალგაზდა ადამიანი სამუდამოდ შეერთდა განუყრელის და განუყოფელის ერთობით; მათ ახალგაზდა არსებიდან ერთბაშად იხეთქა იმ ძლიერმა, ყოვლად შემძლე და ამასთანავე უნაზესმა და უწრფელესმა ნაკადმა, რომელსაც სიყვარული ეწოდება. უნდა გენახათ, როგორის აღფრთოვანებით უახლოვდებოდა ხოლმე გენადი იმ სახლს, რომელშიაც ზოია სცხოვრებდა. მე-15 ნომერი (ზოიას სახლის ნომერია) ასოციაციის კანონის ძალით იმ წამსვე მის გონებაში მშვენიერ ზოიას სახის წარმოდგენას იწვევდა.

ეგზამენები დამთავრდა. გენადიმაც და ზოიამაც საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს და ეხლა სამშობლოსაკენ იჩქარიან. მათ ორივეს ვოლგით დასჭირდებათ მოუგზაურობა და ეს აუწერელის სიხარულით ავსებს გენადის გულს. მე არ შევეხები დაწვრილებით მათ ვოლგაზე ერთად მოგზაურობას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ მოგზაურობის დროს ერთობა ამ ორ ადამიანის შორის უფრო განმტკიცდა და მათ ურთიერთს სიტყვა მისცეს: საუკუნოდ ყვარებოდათ ერთმანეთი. ზოია სიმბირსკში დარჩა, ხოლო გენადის კიდევ უნდა გაეგრძელებინა თავისი მოგზაურობა. მთელი გზის განმავლობაში გენადი მხოლოდ ზოიას შესახებ ფიქრს შეეპყრო: მუდამ იგი უდგა თვალწინ; იგი, მისი ოქროს ფრთოსანი მტრედი, სიახალგაზდოების პირველსავე ხანაში მოფრენილი, რომ სიხარულითა და შვებით აღევსო მისი ცხოვრება, იყო მისი ოცნების განუშორებელი თანამგზავრი.

გენადი უკვე თავის სოფელშია. იგი აქ ეძლევა თავის სიბავშვის მოგონებათ და ყველა ნაცნობ ადგილს ინახულებს, ყოველ ნაცნობ ბილიკს აუყვება, რომ კვლავ განიცადოს თვისი სიბავშვე. იქ, თვის ოთახში კი, მაგიდაზე უდგას თვის „მტრედის" სურათი, რომელზედაც დილას და საღამოს მდუმარედ ლოცულობს. რამოდენიმე წერილი მისწერა ზოიას, მაგრამ პასუხი არ მიუღია; გენადი ძალზე დაღვრემილია ამით.

სოფელში გენადის დედასთან ამ დროს სტუმრად იყო მათი შორეული ნათესავი **კალერია**, რომელსაც ქმარი მიეტოვებინა დ თვისი პატარა ბავშ-ვოვოჩკათი ზაფხულს სოფლად ატარებდა. კალერია საუცხოვო სილამაზის პატრონი იყო. მისი შავი თვალ-წარბი ძნელად თუ ვინმეს არ მოჰხიბლავდა, იგი პირველსავე დღიდანვე სცდილობს, მიიზიდოს გენადის ყურადღება, მაგრამ ამაოდ, გენადი მხოლოდ და მხოლოდ თვისი ზოიას მოგონებით სცხოვრობს. ერთ საღამოს კალერია გენადის ოთახში დაუკითხავად შედის და მასთან საუბარს გააბამს: იგი გულახდილად ამბობს, მე არა ვარ მოყვარული დედა და საზოგადოდ ძალზე მამძიმებს დედობაო. პირველად უკვირდება გენადი კალერიას სახეს და თანდათან რწმუნდება, რომ იგი არა ჩვეულებრივი ლამაზია. მთელს ღამეს გენადი კალერიაზე ჰფიქრობს და პირველად დაივიწყა გამოთხოვებოდა თვის ოქროს-ფრთოსან მტრედის სურათს მეორე დღეს იგი ზოიასაგან დებულობს წერილს და სინიდისის მწარე ქენჯვას განიცდის, რომ ერთი ღამე მაინც სხვაზე ფიქრობდა. სხვათა შორის, გენადი ზოიას მამისაგანაც იღებს წერილს, რომელშიაც იგი ატყობინებს: თქვენ გსურთ, რომ ჩემი ქალიშვილი სახლიდან გამოიპაროს და თქვენთან ცხოვრება დაიწყოსო, ამისათვის მე მივმართე გუბერნატორსაც და ყოველ სამღვდელოსაც დ. თქვენც გაფრთხილებთ ასეთ ნაბიჯისაგანო. გენადის მხოლოდ გაეცინა და თვის ზოიას შორიდან კოცნა უძღვნა.

ამასობაში კალერიას ბავშვი გარდაიცვალა.

კალერიას სახეს არა-ჩვეულებრივი მწუხარება დაეტყო. იდგა იგი თვისი პატარა ბავშვის კუბოსთან და დროგამოშვებით მწარედ ქვითინებდა „სანთლები კი ნაზად ბრწყინავდნენ და ქრისტეც მოწყალების თვალით დასცქეროდა ვოვოჩკის ცხედარს დ წუთი-სოფლის ხან-მოკლე სტუმარს შორეულ გზას, უკურთხებდა".—„მოვიდა, იტირა და წარემართა; რისთვისო"? ამბობს ავტორი, ეს არავინ იცის. ეგებ მისთვის ასეც სჯობდა; სჯობდა ადრე დამცხრალიყო მისი ცხოვრება, რომ ეგრძნო წუთი-სოფლის გაუტანლობა. ვოვოჩკები კალერიასთანა დედების მწარე მამხილებელნი არიან. „მაპატიე, ვოვოჩკა, მე საძაგელი ვარ", აი რის თქმა-ლა მოახერხა კალერიამ ვოვოჩკას ცხედრის წინაშე. ვოვოჩკას გვამი მიწას მიაბარეს. კალერია ერთავად ოთახში ჩაიკეტა და არავის ეჩვენებოდა. ვოვოჩკას სიკვდილის შემდეგ ყველას მის წინააღმდეგ ამხედრდა გენადის სახლში, ხოლო თვით გენადი კი თანდათან კალერიასკენ იხრებოდა. მიიღო ზოიასაგან მეორე წერილი. მაგრამ იგი ჩვეულებისამებრ მეორედ აღარ წაუკითხავს, როგორც თვით ამბობს: ეხლა წერილის მიღების გამო სიხარული უადგილოდ მეჩვენა; თითქოს მკვდრის გასვენების დროს ვინმეს სამხიარულო სიმღერა ემღეროსო. ერთი სიტყვით, გენადი ეხლა უკვე მთელის არსებით კალერიასკენ მიიწევს და მის შეხვედრას სცდილობს ყოველ წუთს. ერთ მშვენიერ ღამეს კალერია შედის გენადის ოთახში და აქ მოხდება ის, რაც შავ-ლაქად დააჩნდება გენადის ცხოვრებას და რაც სამუდამოდ მოუწამლავს სიცოცხლეს, კალერია მას ათრობს თვისი ეშხით, ვნებათა ბურუსში ახვევს მას, უმღერს მას ჯერედ უცნობ სიმღერას და დასასრულ უთხრობს ზღაპარს, რომლის დაუსრულებლობას გამუდარებით შესთხოვდა გენადი...

მშვიდობით „ოქროს ფრთოსანო" მტრედო, გენადი ეხლა უკვე კალერიას ვნება-აშლილ ჟინის მონაა! კალერიას ამ ოჯახში დარჩენა შეუძლებელი გახდა, რადგან მისი დამოკიდებულება გენადისთან ყველამ შეიტყო. გენადიმ ვითომ სანადიროდ წასვლა მოიმიზეზა და თან გაჰყვა კალერიას და მასთან ერთად ერთს მიყრუებულ ტყეში ტყის-მცველის ქოხში დაიწყო ცხოვრება. იგი ემუდარება კალერიას: შემიყვარე, კალერია, შემიყვარე მთელის არსებით და შენი სულიც ჩემს სულს შეუერთეო.

„სასაცილო ბავშვო, **მე არა მაქვს სული,***) რომელიც შემიძლია გიძღვნა. რაც შეეხება სიცოცხლეს, **სხვისი სიცოცხლის შემოერთება შეუძლებელია, როდესაც ხშირად თვით არ იცი, შენი საკუთარი სიცოცხლის** დანიშნულება. იცხოვრე **მხოლოდ აწმყოთი**, და არა წარსულით და მომავლით; წარსული— მოხუცთათვის არსებობს, **მომავალი**

ბეტ.

კი ყოვლისათვის. და არა სიყვარულთათვის". გენადი კალერიას ალერსში ატარებს დროს, მაგრამ ქვეყნად ყოველივეს სამზღვარი აქვს და მით უმეტეს მალე მოიყიჭებდა მას კალერიასთანა დედაკაცი. ერთ საღამოს იგი უცხადებს მას, რომ ხვალ იგი უკვე გაემგზავრება საზღვარ-გარედ. ამათ იყო გენადის ხვეწნა-მუდარა; კალერია მტკიცედ დაადგა თვის გიდაწყვეტილებას. ამ ღამეს კვლავ უმღერა დამათრობელი სიმღერა. კვლავ რაღაც ტკბილსა და უცნობ გრძნობათ ბურუსში გაახვია და კვლავ მოუთხრო გამოუცნობი ზღაპარი. გარედ კი ბუნება ძალზე გულმოსული ელვა და ქუხილით უპასუხებდა ამ ზღაპრის თხრობას.

დარჩა მარტოდ-მარტო გენადი; მწარე და მტანჯველი გრძნობები დაჰპატრონებოდნენ მის არსებას და იგიც თავჩაქინდრული, გასრესილი უახლოვდებოდა თვის სახლს. „ნუ თუ მხოლოდ ჩემი სიქალწულის წართმევით ხელმძღვანელობდა კალერია, ათასჯერ ეკითხებოდა თავის თავს და კბილის ღრჭენით სწყევლიდა მის სახელს. გენადი უკვე სტუდენტია. იგი გატაცებით ეძლევა ახალს ცხოვრებას: მონაწილეობას ღებულობს სტუდენტთა ყველა ორგანიზაციაში, ესწრება ყველა კრებას და ხშირად მეტად შნოიან და ამაღელვებელ სიტყვებს წარმოსთქვამს. მის მაგიდაზე კვლავ იხილავდით ზოიას სურათს, მხოლოდ მის გვერდით კი თავისუფლებისათვის წამებულ ახალგაზდა ქალის სონას პორტრეტს, რომელიც მთავრობის მიერ აკრძალული იყო. და ორივ ერთ არსებად გარდიქმნებოდნენ ხოლმე მის გონებაში და გენადიც მწარედ წარმოსთქვამს: „ხშირად დაიბადებოდა ხოლმე ჩემს

*) იხ. „ვესტ. ევროპ." 1911 წლის 3, 4, 5, 6 და №№. არის ცალკე წიგნადაც.

*) ხაზი ჩემია.

ავადმყოფებიც იყვნენ. საბედნიეროდ, ყველანი უვნებლად გადარჩნენ. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ იმავე საავადმყოფოს მეორე კაბინეთში ამას წინადაც ჩამოინგრა ჭერი.

✦ **სანატარიუმო კანტორები.** ტფილისში ამ ჟამად 5 სანატარიუმო კანტორა არსებობს. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გახსნას ორი ახალი კანტორა. ამ საგნის შესახებ მოხსენებას გამგეობა ჩქარა ქალაქის საბჭოსაც წარუდგენს.

✦ ტფილისში შეიპყრეს უცნობი კაცი, რომელმაც მუშის მცხოვრები რუბენ მალხაზოვი დაირჭო. შეპყრობილს მუშის მაზრის უფროსთან გზავნიან.

✦ 10 დეკემბერს ტფილისში 52 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **სახალხო ჯანმრთელობის საქალაქო კომისიის** კრება 10 დეკემბერს მოხდა. კომისიამ სასურველად იცნო, ჩქარის სამკურნალო დახმარების აღმომჩენი სადგური ქალაქის ხელში გადავიდეს და დაადგინა შუამდგომლობა აღძრას, რათა ქალაქის საბჭომ 4,500 მან. გადასდოს სადგურის საჭიროებათათვის.

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტის** კრება 10 დეკემბერს მოხდა. კომიტეტმა დაადგინა, 1913 წლისთვის საერობო თანხიდან 22,600 მან. ითხოვოს. ამავ დღეს უნდა ამოერჩიათ 4 ინსტრუქტორი, მაგრამ საკითხი სხვა დროისთვის გადაიდო.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. სახელოსნო სასწავლებელი.** გუშინ ეგზარხოსის მოადგილე ეპისკოპოსი პიმენი სამღვთო სჯულის გაკვეთილს დაესწრო.

ქუთაისი.

✦ ამ დღეებში პოლშინის რედაქტორობით აქ გამოვა ყოველდღიური რუსული გაზეთი **„კუტაისკაია ჟიზნ“**.

✦ 11 ქრისტიშობისთვეს ქუთაისში გამოვიდა ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი **„მერცხალი“**.

✦ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა, მომავალ წლის 12 იანვარს ჩვეულებრივი **საღამო** გამართოს.

✦ სოფლებიდან უკვე შემოაქვთ ქუთაისის ბაზარზე წლევანდელი **ბამბა.** ფასები ნაკლებია.

ხონი

✦ ხონში **მისაბად აირჩიეს** იაკობ ქუთათელაძე, მის თანაშემწედ—ილიკო ხეთერელი.

✦ ხონის **„ქალთა წრის“ წესდება** გუბერნატორმა დაამტკიცა.

ბათომი.

✦ მომავალ წლის 1 იანვრიდან ბათომში განაახლებენ **„ბათომის გაზეთი“**ს გამოცემას.

ფ ო თ ი.

✦ 1 იანვრიდან ფოთში ბ-ნ ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით გამოვა ყოველდღიური რუსული გაზეთი **„რიონი“**. რედაქტორობას გაუწევს ცნობილი ჟურნალისტი ბ-ნი ა. ნიკიტინი.

ბ ა ქ ო

✦ **ბაქო.** მომავალ წლის 1 იანვრიდან ბაქოში გამოვა ქართული ყოველ კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი **„წყარო“** ჟურნალი ეღირება წლიურად 5 მ. ცალკე ნომერი 10 კ.

სოფლად

✦ **ორხევი** (გარე კახეთი). 2 დეკემბერს, ორხევს მახლობლად, გზატკეცილზე, მულანის მცხოვრებმა მეურმემ ალი-ალავერდი ოღლიმ ჩხუბის დროს ხანჯლით მუცელში დასჭრა სოფ. კაკაბეთის მცხოვრები მეურმე სოლომონ შაქარის ძე სარქისაშვილი. დამჭრელი შეიპყრეს. დაჭრილი ტფილისში ჩამოიყვანეს.

✦ **ს. საგარეჯო** (გარე კახეთი). 3 დეკემბერს, საგარეჯოს მცხოვრებმა ალექსი გიორგის ძე პანკელაშვილმა ხანჯლით მოჰკლა რევაზ ივანეს ძე დოგოშვილი. მიზეზი იჭვიანობაა.

✦ **სოფ. ჩხიკვთა** (ტფ. მაზრა). სოფ. ჩხიკვთას მცხოვრები ალექსანდრე რამაზაშვილი ბერდანის თოფით დასჭრეს მარჯვენა ხელში. დაჭრილმა გუმანი მიიტანა სვიმონ საგინაშვილზე, რომელსაც სახლში აღმოაჩნდა ნებადაურთველი ბერდანკა.

✦ **სოფ. ლისი** (ტფ. მაზ,). 5 დეკემბერს, სერგო ბ. მირაბიშვილმა ხანჯლით მოჰკლა თავისი ცოლი კეკელა, რომელსაც ღალატს აბრალებდა. მირაბიშვილი შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

ქალაქის საბჭო

10 დეკემბერს ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით მოხდა საბჭოს კრება. კრება ისევ 1913 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვის გაგრძელებას მოუნდა. საბჭომ მოასწრო შემოსავლის განხილვა და დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა იმ სახით, რომელიც შეიმუშავა საფინანსო და სარევიზიო კომისიების შეერთებულმა კრებამ ქალაქის გამგეობის მონაწილეობით.

უთანხმოება გამოიწვია 500 მან., რომელიც შრომის ბირჟის შემოსავალში იყო აღნუსხული. კომისია საჭიროდ სცნობდა ამ შემოსავლის გამორიცხვის და შრომის ბირჟის გაუქმებას. გამგეობა კი წინააღმდეგ აზრს ადგა. მცირე კამათის შემდეგ ამ საკითხს კენჭი უყარეს. საბჭომ 28 ხმით 17 წინააღმდეგ დაადგინა, ეს დაწესებულება არ გააუქმოს. კრება შემდეგ დაიხურა. ხარჯთა განხილვა 13 დეკემბრისათვის გადაიდო.

სასამართლო

28 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა **ევგენი დვალის საქმე,** რომელსაც ციმბირიდან თავის ნებით დაბრუნებისათვის ქუთაისის ოლქის სასამართლომ სამი წლის კატორღა გადაუწყვიტა. იგი გასამართლებულია პოლიტიკურ ნიადაგზე.

ამ მოკლე ხანში ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოდან განთავისუფლებენ **ფარნაოზ ალექსის ძე გეგელიას,** რადგანაც ის 23 ნოემბერს ტფ. სასამართლო პალატამ გაამართლა. მას ბრალდებოდა სოფ სალხინოში გლეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. მაგრამ ის თავის ნებით უნდა წავიდეს ტომსკის გუბერნიაში როგორც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული.

4 დეკემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია **რადიონ კოხრეიძის საქმე,** რომელსაც აბრალებდნენ, მსაჯულების შეურაცხყოფას. სასამართლომ მას მიუსაჯა რამდენიმე უფლებათა ჩამორთმევა და წელიწად-ნახევრით ტუსაღთა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა.

მიხეილ კოლუაშვილს აღმოაჩნდა მეორე საქმე; მას აბრალებენ 1910 წელს ბათუმის მომრიგებელ მოსამართლის სეკრეტარ მხდოიანცის გაძარცვას. კოლუაშვილს მკვლელობაზე მისჯილი აქვს ათი წლით მადნებში მუშაობა. იგი ამ ჟამად მოთავსებულია ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში.

5 დეკემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია **მინა მაისაშვილის, ვალერიან ინალიშვილის და ბაგრატ კვიკვიძის საქმე.** მათ ბრალდებოდათ ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეს მოჯირის გაჭრა, გაქცევის განზრახვით. სასამართლომ თვითეულ მათგანს მიუსაჯა ცხრა-ცხრა თვით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

4 დეკემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ მოწმეების დაუსწრებლობის გამო მესამედ გადასდო **ალექსანდრე ჩიჩელაშვილის და ბარნაბა ხაზარაძის საქმე.** მათ ბრალდებათ მატარებელში ჯაფარიძისათვის 2,000 მანეთის წართმევა.

7 იანვარს ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს **დათიკო შალრაძის საქმეს,** მას ბრალდება მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე.

სენატმა დაამტკიცა ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი, რომლითაც **ტერენტი დგებუაძეს** წელიწად-ნახევარი ციხე მიუსაჯეს პრინცესა მიურატის წინააღმდეგ გლეხების აჯანყებისათვის.

მას აგრეთვე იმავე პრინცესას მოურავის დაჭრისათვის 4 წლის კატორგა აქვს მისჯილი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

10 დეკემბ.

ათინა. ტენდოსთან მდგარ საბერძნეთის ესკადრის უფროსი იუწყება: დილით ოსმალეთის ესკადრა დარდანელიდან გამოვიდა და სიმაგრეთა მფარველობის ქვეშ გაჩერდა. ნაღმოსნები ელვის სისწრაფით გამოემართნენ ტენდოსის კუნძულისაკენ და 20-ჯერ დასცალეს ზარბაზანი. ბერძენთა რაზმებმა ნაპირიდან სროლითვე უპასუხეს. საბერძნეთის ფლოტი, რომელიც ლემონსთან იდგა, საშველად გამოეშურა. ოსმალნი მიეფარნენ.

ოსმალეთის ჯარი დამარცხდა ცანგონისთან. დამარცხებული ოსმალნი საბერძნეთით იანინისაკენ გამართნენ. ადგილობრივ 3 ზარბაზანი დარჩათ.

უსკიუბი. როდესაც ბერძნებმა კორიცა აიღეს, ოსმალეთის 7 აფიცერი და 240 მეომარი გაიქცა და ოხრინაში სერბიის ჯარს დაჰნებდა.

სტამბოლი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ოსმალეთის ფლოტი საზღვარად გასულა ზღვაზე და ტენედოსისა და იმბროსის კუნძულთა შუა წასწყდომია საბერძნეთის ნაღმოსნებს, რომლისთვისაც სროლა აუტეხნია და გაუქცევია, მერე ტენედისის კუნძულისათვის სროლა აუტეხნია და დარდანელში დაბრუნებულა.

გაზეთებიდან.

ოსმალთა დამარცხება ზღვაზე.

ათინა. გამოირკვა შემდეგი 3 დეკემბრის საზღვაო ბრძოლისა. ოსმალეთის ჯავშნოსანი „ჰაირედინ—ბარბაროსი“ თითქმის სრულიად დანგრეულია, რადგან მრავალი ნახვრეტი მიიღო. ბრძოლის დროს ჯავშნოსანს ცეცხლი მოედვა, რომელიც ძლივს ჩააქრეს. ჯავშნოსნის ეკიპაჟიდან მოკლულია ადმირალი ქალილ-ფაშა და ოთხი უფროსი აფიცერი. დაჭრილ და მოკლულ მეზღვაურთა რიცხვი დიდია. სტამბოლიდან გაგზავნეს მცურავი საავადმყოფო დაჭრილთათვის. „ბარბაროსის“ გარდა მეტად დაზიანდა აგრეთვე ოსმალთა სამი სამხედრო გემი, რომელთა სახელები ჯერ არ იციან.

სკუტარის ალყა.

ოსმალთა მეციხოვნე ჯარის უფროსმა ესად-ფაშამ არ იწამა დროებითი ზავი. ორი ბატალიონი მოხალისენი შეეცადნენ ალყის გაგლეჯას ს. მიეტის მთავარი ძალაც ალესიოში იმყოფება, დიდი დანაკლისით უკუაგდო იგინი. ჰფიქრობენ, რომ ეს ბატალიონები ტირანისა ელბასანის ალბანელებისაგან შესდგება რომელთაც გასხლტომით სურდათ შინ დაბრუნება.

ქ. იანინის გარშემო.

ათინა. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ იანინის გარშემო არტილერიის სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. საბერძნეთის მფრინავი, პორუჩიკი მუთისი რამდენჯერმე აფრინდა და ყუმბარები ჩაჰყარა ციხეში.

სამშვიდობო მოლაპარაკება.

ლონდონი. სამშვიდობო მოლაპარაკების მეორე სხდომა ვერ მოხდა. 4 საათზე სენ-ჯემის სასახლეში შეიკრიბნენ მოკავშირეთა წარმომადგენლები. ოსმალები გვიან მოვიდნენ და განაცხადეს, რომ ინსტრუქციები ჯერ კიდევ არ მიუღიათ სტამბოლიდან, რადგან ფოსტით კი არა, საგანგებო დესპანის ხელით გამოუგზავნია მთავრობასო. შემდეგი სხდომა შაბათსაა დანიშნული.

მოლაპარაკების დახასიათება.

გაზ. „ტაიმსი“ ასე ახასიათებს სამშვიდობო მოლაპარაკებას:

„მოლაპარაკების მიმდინარეობა ვერ იქნება მწყობრი. მოთათბირე სახელმწიფოები მიჩვეული არიან აღმოსავლეთური წესით ვაჭრობას, რომლის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს გარეგანი, ვითომ, შეურიგებლობა. ამიტომ ნუ დავკარგავთ იმედს მაშინაც კი, როდესაც დაჟინებით დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ესა და ეს მხარე შეუძლებლად სთვლის მოლაპარაკების გაგრძელებასო“.

კოკოვცევის სიტყვა და ბულგარელები.

ლონდონი. კოკოვცევის სიტყვამ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთის წარმომადგენლებზე:

„სიტყვის საერთო კილო ჩვენთვის სიმპატიურია, მაგრამ არის მასში ერთი მუხლი, რომელსაც შეუძლია სრულიად გააქარწყლოს შთაბეჭდილების მნიშვნელობა—ესაა ფრაზა: „რუსეთი მზად არის დაიცვას ბალკანეთის სახელმწიფოთა სამართლიანი მოთხოვნილებანი“. სერბიისა და ბულგარეთის ასეთი ფორმულა მეტად ბუნდოვანია. რა მიაჩნია კოკოვცევს სამართლიანად სერბიისათვის? მაგალითად, როგორ საზღვრებს გულისხმობს იგი მომავალ ალბანეთისთვის? რაც შეეხება ბულგარეთს, რუსეთის მთავრობამ უნდა გამოარკვიოს, თუ რა სივრცის უნდა იქნეს ის ადგილი, რომელიც სტამბოლს დარჩება.

ადრიანოპოლის ბედი.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ გავრცელებულმა ხმებმა, თითქო ოსმალეთი დაჟინებით მოითხოვდეს ადრიანოპოლის შენარჩუნებას, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მოკავშირეებზე. — იგინი ჰფიქრობენ, რომ მიუხედავად ადგილობრივი მითქმა-მოთქმისა, ოსმალეთი არ აღძრავს ასეთ მოთხოვნილებას, რადგან ოსმალეთმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მოკავშირენი ადრიანოპოლის საკითხის დასმასაც კი არ მოითმენენ. ადრიანოპოლი უკამათოდ და საბოლოოდ ბულგარეთის მიწა-წყალს უნდა შეუერთდეს; სხვანაირი გადაწყვეტილების გაზრახვა სამშვიდობო მოლაპარაკების გაუქმების მომასწავებელი იქნება.

ელჩების კონფერენცია.

ლონდონი. ელჩების კონფერენციის პირველ სხდომაზედვე სრული თანხმობა დამკვიდრდა სამთა კავშირისა და სამთა შეთანხმების წარმომადგენელთა შორის სერბიის მოთხოვნილების თაობაზე. მეორე სხდომაზე, ალბად, გადაწყდა ალბანეთის საზღვრების საკითხი. კონფერენციაზე პრესის წარმომადგენლებს ადგილი არა აქვთ.

ბალკანეთი და ევროპა

დ ე პ ე შ ე ბ ი.

10 დეკემბერი.

სოფია. „მირი“ აღნიშნავს საზავო მოლაპარაკების გაბანდებას და ოსმალთა ჩვეულებრივ ხრიკიანობას. გაზეთების აზრით ოსმალეთი ვერავითარ ხრიკებით ვერ შესძლებს ბალკანეთის კავშირის შერყევას ან საბერძნეთის გამოცალკევებას, რადგანაც ევროპამ კონფერენციის წყალობით გადასწყვიტა ალბანეთის საქმე, სერბიის გასვლა ადრიატიკის ზღვაზე და მშვიდობიანობის დაცვის სურვილიც განაცხადა. თუ ოსმალები მაინც არ დაიშლიან, ეს იქნება საშიში ოსმალეთის მოსპობისა. თუ ომი განახლდა მოკავშირენი სტამბოლს აღარ დაინდობენ.

ლონდონი. საზავო კონფერენციის კრება ნაშუადღევს 4 საათზე დაიწყო ნოვაკოვიჩის თავმჯდომარეობით. ნოვაკოვიჩს, კრების შერე, უთქვამს, მოლაპარაკება მეტად მეგობრულად სწარმოებს და შაბათამდე გარკვეულ გადაწყვეტილებას დაველოდებითო. სხდომის დროს ოსმალნი დაჟინებით არა თხოულობდნენ ადრიანოპოლისთვის სურსათის მიწოდების ნებართვას. ნოვაკოვიჩმა მოკავშირეთა მხრივ საზოგადო დებულებანი წარადგინა ზავის ჩამოსა-

---

გონებაში მკრთალი სურათი ქალიშვილისა, რომელიც უკვე დავკარგეთ; სიტყვით ამის გადმოცემა ძნელია, მაგრამ სიმართლესთან ახლოს იქნება, თუ ჩემს გრძნობას იმ გრძნობას შევადარებ, რომელსაც ღრმად საყვარელ ქალის დამკარგავი ადამიანი განიცდის იმ დროს, როდესაც იხილავს ამ ქალის დას, რომელიც ძლიერა ჰგავს მას: **მწვავე ტანჯვა და მწვავე სიყვარული, წარსული აწმყოში და აწმყო წარსულში, მკვდარი ცოცხალში და ცოცხალი მკვდარში***) აი ამ გრძნობის რაოდენამდე დახასიათება. ამასობაში ამავე ქალაქში უმაღლეს კურსების მსმენელად ჩამოდის ზოია. იგი პირველად ყოვლისა გენადის საძებნელად მიემგზავრება და მის ბინაზე წერილს სტოვებს. გენადი წერილითვე უპასუხებს ზოიას, რომელშიაც ურჩევს დაივიწყოს წარსული, რადგან ყოველივე გათავდა ჩვენ შორისო. მკითხველისათვის მიმინდვია, თუ რა გავლენას იქონიებდა ეს წერილი იმ არსებაზე, რომელიც გენადიზე ფიქრში ატარებდა თვის სიცოცხლეს და ვის გულშიაც გენადისადმი სიყვარულს უკვე დაუმსხვრეველი კოშკი აეგო. მაგრამ გენადიც ძალზე მოსტყუვდა, როდესაც ეგონა, თითქოს ყველაფერი გათავებულიყოს მისა და ზოიას შორის. მას არა ნაკლებად უყვარდა ზოია და ეს კიდეც გამოჩნდა პირველსავე შეხვედრის დროს. ეს მოხდა სტუდენტებისა და კურსების მსმენელ ქალების საღამოზე. ზოიას პირველსავე დანახვის დროს იგრძნო გენადიმ, თუ რა ძვირფასი იყო მისთვის ზოია, იგრძნო, რომ უიმისოდ მას სიცოცხლე არ შეუძლიან და იწყო კვლავ მასთან შერიგების ცდა. შერიგება კიდეც მოხდა. ორი ადამიანი კვლავ შეერთდა სამუდამოდ. ყოველივე ეს გენადიმ მოახერხა თეატრში „ევგენი ონეგინის“ წარმოდგენის დროს. როდესაც იგი წარმოდგენის შემდეგ თვის ოთახს უახლოვდებოდა ბედნიერი და ჩუმად, ხმა ამოუღებლივ მადლობას უძღვნიდა ცას ძონიერებულ ბედნიერებისათვის, შენიშნა, რომ ლამპის აბაჟური წითელი ფერისა იყო, რაც იმას მოასწავებდა, რომ მის ოთახში უკვე ჩხრეკა სწარმოებს და ამხანაგი აფრთხილებდა, ნუ შემოხვალო. გენადი საჩქაროდ გაეშურა ზოიას ოთახისაკენ. გამოიხმო იგი და საქმის ვითარება შეატყობინა; სთხოვა: ნუ დამივიწყებ, სამუდამოდ გიყვარდეო. და აქ ერთხელ კიდევ ორი ახალგაზრდის ბაგემ წარმოსთქვა ერთგულების ფიცი, რომელიც მხურვალე კოცნით აღიბეჭდა. ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდნენ მხოლოდ ცაზე ხაზად მოციმციმე ვარსკვლავნი. იმ ღამეს გენადი შეიპყრეს. მასთან ერთად დააპატიმრეს რამოდენიმე მისი ამხანაგიც. დაიწყო სატუსაღოს ერთ ფეროვანი ცხოვრება: ციხიდან პროკურორთან და პროკურორიდან კვლავ ციხეში. გენადის ისეთი ვერა უპოვეს რა რომ შესაძლებელი ყოფილიყოს მის სამართალში მიცემა. ბევრი ეცადა ზოია, რომ ენახვებინათ გენადი, მაგრამ ამაოდ, მისი თხოვნა არავინ შეიწყნარა. ბოლოს კი იგიც დააპატიმრეს და გენადის გვერდით საკანში მოათავსეს. როდესაც გენადიმ ეს შეიტყო მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, იგი გრძნობდა, რომ იქვე იმყოფება მისი ოქროსფრთიანი მტრედი, რომელსაც მხოლოდ კედელი აშორებს და ეს გრძნობა სიხარულის ზეწრად ეკონებოდა მის გულს. მათ შეისწავლეს კედელზე კაკუნით ერთმანეთისათვის აზრის გადაცემა და ხშირად ასეთი საშუალებით საუბრობდნენ. გავიდა ხანი. ზოია უკვე გაანთავისუფლა მამამისმა და სახლში წაიყვანა. დარჩა კვლავ მარტო გენადი. ამასობაში აღდგომის კვირამაც მოაღწია. რა მიმზიდველად და სრულის სინამდვილით აგვიწერს მწერალი ტუსაღების ცხოვრებას ამ კვირის განმავლობაში! მაგრამ ამაზე შემდეგ, ეხლა კი კვლავ მოთხრობის შინაარს გავყვეთ. მოახლოვდა აღდგომაც. გენადის ციხეში ინახულებს მისი მოხუცი დედა და ჰპირდება, რომ სულ მოკლე ხანში გაიყვანს მას ციხიდან თავდებით და რომ სათავდებო ფულს კი კალერია სდებს ორი ათას მანეთს. ამ ამბავმა თავზარი დასცა გენადის. კალერიას სახელის გაგონებაზე მის სულში კვლავ აიშალენ მოგონებანი: აი ატეხილ ტყის ბოლოში მდგარი ის ქოხი, ის ბნელი ღამე, უცნობ ზღაპრის თხრობა... ელვა-ქუხილი... გენადი მზად იყო, უარ ეყო კალერიას დახმარება, მაგრამ გვიან-ღა იყო, ფული უკვე შეეტანა დედა მის. მთელი ღამე გენადიმ სამძიმო ბრძოლაში გაატარა, ბოლოს ფანჯარაც კი ჩალეწა სიმწრისაგან; მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა. დილით ადრე კი გაანთავისუფლეს და დედასთან ერთად გაემგზავრა ციმბირსკში, რომ იქ ჯვარი დაეწერა თვის ძვირფას ზოიაზე. მაგრამ გაციებისაგან ძალზე ავად გახდა და დიდხანსაც იწვა საავადმყოფოში. აქ მას ნახულობდა ხოლმე ხშირად მისი ძვირფასი ზოია, რომლის მშობლებს აზრად ჰქონდათ თურმე მისი გენადისთან დაშორება, მაგრამ ზოიას საწამლავი დაულია და ძლივს გადაერჩინათ; მას შემდეგ თვით მშობლები სცდილობდნენ, მათ საქმის კეთილად დაბოლოვებას. გენადი ფეხზე ადგა. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან ზოიასთან ერთად აპირებდა იალტაში გამგზავრებას.

ერთხელ საავადმყოფოს ბაღში გენადიმ ველარ მოითმინა და ყოველივე უამბო ზოიას თვის კალერიასთან დამოკიდებულებიდან; ზოიას თვალებზე ცრემლები მოადგა და უხმოდ მოშორდა ამ ადგილს; ვინ იცის, რა ღრმა ჭრილობა გაითხარა მის სულში ამ ამბის გაგონებით; ვინ იცის, რა მტანჯველი გრძნობები შემოეხვევოდა მის მოყვარულს გულს. გენადიმ სხვა ველარა მოახერხა ეთქვა: „ზოია, შემატყობინე მაინც, მაპატიებ თუ არა!“ სამი დღის შემდეგ მოსვენება დაკარგულმა გენადიმ ზოიასაგან, რომელიც უკვე იალტაში გაემგზავრა მამასთან ერთად, შემდეგი დეპეშა მიიღო: „მიპატიებია, მიყვარხარ, გელი, შენი ზოია“. ათასჯერ გადაიკითხა ეს დეპეშა გენადიმ და სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. როგორ? ზოიამ ყველაფერი მაპატია და კვლავ უყვარვარო! ათასჯერ ეუბნებოდა იგი თავის თავს და ნიშნად სიხარულისა მისი თვალები შვების ცრემლებით ინამებოდნენ. მეორე დღეს იგი იალტისაკენ მიემგზავრება. წინასწარი განცდა იმისა, რომ იგი რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ თავის ზოიასთან იქნებოდა, აუწერელის სიხარულით ავსებდა გენადის სულს. გულში იგი დიდ მადლობას უძღვნიდა იმ პირს, რომელმაც გამოიგონა ორთქლმავალი, რომლის შემწეობით იგი მალე ზოიას გვერდით იქნებოდა.

გენადი იალტაშია. აქ იგი პირველად ყოვლისა ზოიასთან მიეშურება და მასთან ერთად ზღვის პირად მიდის სასეირნოდ. აქ ზღვის მოღუღუნე ტალღების წინაშე იგინი კვლავ მიეცნენ ურთი-ერთის ალერს. გენადი თვალს არ აშორებდა თავის ოქროს ფრთიან მტრედს, რომელიც მისთვის ქვეყნად ყველაფერზე უძვირფასესი იყო. ზღვაც თითქოს ნიშნად თანაგრძნობისა ნაზად არხევდა თავის ტალღებს და ხანგამოშვებით შეეფებით ნაძავდა შეყვარებულთა სახეს. ასე ატარებდნენ დროს გენადი და ზოია და უკვე იმის ფიქრში იყვნენ, თუ როდის დაიწერდნენ ჯვარს, რომ მათ წინ გადაეღობათ კვლავ „შავით მოსილი“ კალერია. უკანასკნელ ხანებში გენადის ხშირად თვის ოთახის გვერდით მოესმოდა ხოლმე ბავშვის ტირილი და ნაცნობი ქალის ხმა, რომლის გაგონებაზე გული საცოდავად შეკვნესოდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა კი, თუ კალერია იალტაში იქნებოდა. თვით ზოიას და გენადის ალერსშიაც კი რაღაც გამოურკვეველმა უგულობამ იჩინა თავი, თითქოს ორივემ იგრძნეს დაბარების მოახლოვება.

ერთხელ გენადი და ზოია ბაღში სეირნობდნენ; მათ წინ შეეჯახათ ძიძა პატარა ლამაზ ბავშვით; რომლის დანახვაზე ზოიამ სურვილი განაცხადა მისი კოცნისა მაგრამ ძიძა ნებას არ იძლეოდა. ამ დროს გენადის კვლავ შემოესმა ნაცნობი ხმა, რომელმაც ძალზე შეაკრთო: გამარჯობა, გენია, წარმოსთქვა ახლად მოსულმა მანდილოსანმა, და გენადის ხელი გაუწოდა.—ეს შენი საცოლეა, ძლიერ სასიამოვნოა! სთქვა მან ზოიას შესახებ და მასაც ხელი ჩამოართვა. ეს ქალი კალერია გახლდათ. მკითხველისათვის კვლავ მიმინდვია, წარმოიდგინოს, თუ რას განიცდიდა საცოდავი ზოია ამ ქალის დანახვაზე, რომელმაც ერთხელ კინაღამ დააშორა იგი თვის საყვარელ არსებას. იდგა იგი ერთ ადგილს და რაღაც უმწეოდ იქნევდა ჰაერში ქოლგას.

გენადიმ შეიტყო, რომ ბავშვი, რომელიც ბაღში ნახა, მისი შვილია, ნაყოფია მისი კალერიასთან დამოკიდებულებისა და ამ ამბავმა სრულიად სხვა აზრზე დააყენეს იგი. ოქროს ფრთოსანი მტრედი კვლავ „შავით მოსილმა“ დედაკაცმა სძლია და გენადის არსებას კვლავ იგი დაეუფლა. ერთ ღამეს კვლავ ესტუმრა იგი გენადის და კვლავ უმღერა გამოუცნობი იგი ზღაპარი. გენადიმ მეტის მოთმენა ველარ შესძლო და კალერის ქმარს პირდაპირ მისწერა: მე თქვენი ცოლი მიყვარს და წინადადებას გაძლევთ განქორწინება მოახდინოთ, თორემ უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედების თავისუფლებას ვიტოვებო“. გაგზავნა ეს წერილი და პასუხის მოლოდინში იყო. მეორე დღეს კი გაიგო, რომ კალერია თავისი ქმრით კვლავ ნიცაში წასულიყო. ნიცაშივე გაემგზავრა ხომ „ოქროს ფრთიანი“ მტრედი ზოიაც. გენადიმ კალერიას შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „საზიზღარო ცხოველო, გიგზავნი ჩემს ზიზღსა და სიძულვილს, რომლითაც შენ მოსწამლე ჩემი სულიო“. შინ უნდა წავიდე, შინ, რაც შეიძლება საჩქაროდ. ძვირფასო დედავ; დაიხსენი შენი შვილი!“ აი უკანასკნელი სიტყვები გენადისა, რომლითაც თავდება რომანი.

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ასე დაწვრილებით ამ ნაწარმოების შინაარსი, რომ უფრო ადვილად შეგვძლებოდა მის შესახებ მკითხველთან საუბარი.

(დასასრული იქნება)

ალ. წერეთელი.

*) ხაზი ჩემია. ავტ.

გდებად. ოსმალთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, მოსაზრებისთვის დრო მოგვეცითო. ამის გამო სხდომა გადაიდო.

გაზეთებიდან

ავსტრიის გამარჯვება.

ლონდონი. ავსტრიის დიპლომატიამ გაიმარჯვა. სერბიისთვის საკუთარ ნავთსადგურის საკითხი დასამარებულია. ავსტრია თანახმაა, მიეცეს სერბიას სახმარად ალბანეთის ერთ-ერთი ნავთსადგური ნეიტრალი რკინის გზის ლიანდაგით. დღეს ბელგრადიდან წავიდა სერბიის გზათა მინისტრი ამ საკითხის ტეხნიკურად გამოსაკვლევად.

ავსტრია და სერბია.

ვენა. სერბია ემორჩილება გარემოებას. პაშიჩმა შემდეგი უთხრა „ნაროდნი ლისტის" თანამშრომელს: „ჩვენ გვსურს ავსტრიასთან თანხმობით ცხოვრება. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ჩვენს მოთხოვნილებას შევუთანხმებდით ავსტრიის ინტერესებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ვერ მოხერხდა. რადგან არა გვსურს მდგომარეობის გამწვავება, ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებს ვანდობთო".

პირისპირ მოლაპარაკება.

ვენა. სერბიის ელჩმა განაცხადა: მოკლე ხანში გაიმართება პირდაპირი მოლაპარაკება ავსტრიასა და სერბიას შორის.

ავსტრია და ჩერნოგორია.

ცეტინიე. ავსტრიის გაცხარებულ საომარ სამზადისს ჩერნოგორიის საზღვარზე ბოლო არ ელება. კატაროსა და გადკოს შუა 35.000 კაცი სდგას. ჩერნოგორიის მთავრობა ჰხედავს, რომ ასეთი საქციელი უკვე აგრესიულ მოქმედების დაწყებას ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ჩერნოგორიის მთავრობა უპასუხოდ დასტოვებს ავსტრიის პროვოკაციას.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

11 დეკემბერი.

ვაშინგტონი. იანვარში მოხდება სამხედრო პირთა თათბირი ჯარის ძირითად რეორგანიზაციის თაობაზე.

ურგა. პეტერბურგში მიემგზავრება მონღოლეთის საელჩო, მადლობის გადასახდელად ხელმწიფე იმპერატორის წინაშე აღმოჩენილ დახმარებისთვის.

ინდოეთის ვიცე-კაროლის დაჭრა.

დელი. როცა ვიცე-კაროლი სპილოთი ახალ სტანტო ქალაქში მიემგზავრებოდა, უცხომა ყუმბარა ესროლა. სპილოზე დამაგრებული კოშკი დაინგრა; ვიცე-კაროლი მხარში დაიჭრა.

დელი. დაჭრილი ვიცე-კაროლი საკაცეებით დღეს ავტომობილზე და საავადმყოფოში გაგზავნეს. ვიცე-კაროლის ადგილი დაიჭირა ვილსონმა. საბჭოს წევრმა და ფინანსების გამგემ. პოლიციამ ალყა შემოარტყა იმ სახლს, საიდანაც ყუმბარა გადმოაგდეს. შეიპყრეს რამდენიმე კაცი.

ლონდონი. ვიცე-კაროლის ჭრილობა ღრმა არის. რამდენიმე სუსტი ჭრილობა მიიღო კისერზე და ფერდში მისი გადარჩენა საოცარია. ყუმბარის მსროლელი ვერ აღმოაჩინეს. მისი თავი 10.000 მანეთად არის დაფასებული.

რუსეთი

პეტერბურგი. საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ანტონოვი, ამხანაგად მოტივილოვი, მდივნად—გრ. კაპნისტი ძეერე. სახალხო განათლების კომისიის თავმჯდომარედ—გრ. ბობრინსკი, ამხანაგად კოვალევსკი და ლელიუხინი, მდივნად ტიტოვი; სასამართლოს რეფორმების კომისიაში: თავმჯდომარედ შუბინსკი, ამხანაგად—ოხოშიბინი და ვაკარი, მდივნად—სკოროპადსკი.

თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის თეატრი მეზუროვისა. კვირას, 9 დეკემბერს 1912 წ. ავლაბრის თეატრში ხარფუხის ქართულ წარმოდგენათა მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნა „ქრისტინე" ირეთელისა. ამ წარმოდგენაზე პირველი ადგილი ეჭირა ქ-ნ კავთელს, რომელიც ასრულებდა ქრისტინეს როლს; მან ისე კარგად შეასრულა როლი, რომ მაყურებელთ ცრემლსა ჰგვრიდა. ამ ქალს სასცენო ტეხნიკა აქვს, მხოლოდ დიქცია არა აქვს გამოკეთებული და ჩქარა ლაპარაკობს. ნაკლი რომ თავიდან აიცილოს საპატიო ადგილს დაიჭერს სცენის მოყვარეთა შორის. არა უჭირდა-რა ქ-ნ მეხუზლას მარიკას როლში. ტიპიური სონა იყო ქ-ნი ზარდალიშვილისა. ცოტა მოისუსტებდა ბ-ნი მელაშვილი იასონის როლში. საზოგადოდ პიესამ მწყობრად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგად იყო დადგმული მესამე და მეოთხე მოქმედება. ეტყობოდა რეჟისორის ხელი. სამწუხაროდ, საზოგადოება ვერ იქცეოდა თავდაჭერით, დარბაზში ხმაურობა იყო. **შეთე.**

ავლაბრის სახალხო თეატრი. კვირას, 9 ქრისტიშობისთვეს, „ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის" მიერ ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნა დიაჩენკოს 4 მოქმედებიანი კომედია „ეხლანდელი სიყვარული". საზოგადოდ, კომედიამ მხიარულად ჩაიარა. მხიარულის თამაშით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა ი. ივანიძემ (ჯამბარაშვილი). მას ხელს უწყობდა მოხდენილი თამაშით რ. სალაყაია (იაკოფ სასტიკაძე.) ქ. მარგველაშვილი დიდი ხანი არ არის, რაც ავლაბრის სახალხო თეატრის სცენაზე გამოვიდა და ეტყობა, რომ რიგიანი სცენის მოყვარე დადგება. ამ საღამოთი საზოგადოება სრულიად დააკმაყოფილა ნუცას (იაკოფ სასტიკაძის ქალი) თამაშით. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ დაკვირვებულის თამაშით.

ბოლოს ითამაშეს რ. ერისთავის ცნობილი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ".

ბ. ელიკურაშვილის (პარუნ ოსეფ) და ქ-ნ რჩეულოვის (ელისაბედი) თამაშმა მაყურებელ საზოგადოებას მოეწონა და ტაშის ცემით დააჯილდოვეს. **გიგია.**

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! პასუხად თქვენს პატივცემულ გაზეთში დასტამბულ **ბ.ბ. სილ. თავართქილაძისა და გიორგი ულენტის** წერილისა, პატივი მაქვს ვაუწყო, როგორც სჩანს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობის წერილობითი ნებართვით (25 თებერვალი 1912 წ. № 102), რომლითაც მე უფლება მომეცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემისა, ხსენებულმა გამგეობამ ამავე დროს უფლება იაფფასიანი ფართო საზოგადოებისათვის გამოცემისა თავისთვის დაიტოვა.

მაგრამ რადგანაც სრულის თანაგრძნობით ვეგებები ყველა მსურველთ, მეტადრე ქონებრივად ხელმოკლეს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა შეძენაში, ამით ვაცხადებ რომ ვინც 1913 წ. პირველ იანვრამდე მოაწერს შეძლების დაგვარად ყოველგვარი შეღავათი მიეცემა ფულის შემოტანაში.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელი.

ბ-ნო რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ 5 მანეთს*) და უმორჩილესად გთხოვთ გარდასცეთ თქვენი გაზეთის № 766-ში დასახელებულ პეტერბურგის საკომერციო კურსების მოსწავლე ქალს **ნინო ვასილის ასულს სვანიძეს.**

პატივისცემით **ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძე.**

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ „სახალხო გაზეთის" საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქალაქ ბათუმში მცხოვრებს ბატონ ნესტორ გლახუნისძე სიხარულიძეს რომელმაც თავის ნაცნობ - მეგობართ შორის შეაგროვა ორმოცდა სამი მანეთი და შესწირა ჩვენდამო რწმუნებულ ზემო ფარცხნის სამრევლო სკოლას შენობის ასაგებად, აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნით იმ პირებს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ დიად საქმისთვის.

შემომწირველთა სია:

ბ.ბ. ნესტორ გლახუნისძე სიხარულიძემ 6 მან. ლადიმერ ყარამანისძე ხაზარაძემ 5 მან. სილბისტრო სტეფანისძემ ჯიბლაძემ 3 მ. იუსუფბეგ ავალიანმა 3 მ. პანტელეიმონ სიმონისძე თოდრიამ 3 მ. ამბერგი არჯევანისძემ მეგრელიშვილმა 3 მ. ალექსინდრე მელიტონისძემ სიხარულიძემ 3 მ. ლადიკო ივლიანესძემ, ახალაძემ 3 მ. ირაკლი სიმონისძე ანდღულაძემ 3 მ. რემანოზ ზოსიმესძემ ჰოჭუამ 3 მ. ესე გიტოსძემ გოგელიამ 2 მ. იოსებ შიოსძემ ტატიშვილმა, ექვთიმე მიხეილისძემ ცქვიტარიძემ, ლავრენტი ოქროპირისძემ ცინცაძემ, ალექსანდრე ნესტორისძემ ჩარგეიშვილმა, რაჟდენ მანჩასძემ ჭუჭუაძემ და ილია ანტონისძემ, მეგრელიშვილმა თითო მანეთი. სულ 43 მ.

გამგე სკოლისა ბლაღოჩინი მღვდ. **ხარიტონ ცინცაძე**, მასწავლებელი, **იასონ შ. ხომერიკი.**

მზრუნველნი **სეფე ალექსანდრე, გრიგოლ მალაქიასძე, გიორგი ტარიელისძე—ცინცაძენი, იოსებ ულენტი, ლევანტი ჩხიკვაძე.**

*) რედაქციამ ეს ფული მიიღო. **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, სად. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-სახ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-სახ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 7 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-სახ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-სახ. № 8;7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-სახ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვოდან სურამში სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-სახ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-სახ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-სახ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-სახ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-სახ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვოში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-სახ.** № 62, დილ 4 ს. 38 წ. **სახ.-სახ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-სახ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-სახ** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-სახ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 5 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები **1 და 2.**

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინა** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში. კახეთის ქ. 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—**ი. პ. ფომინა-თხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკის, 10. ტელ. 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის" საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევს.** შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური" საზოგადოების გემებისა.

ბაქ-დან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 6 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 6 ს. 44 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველ მათ თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606"—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.სა.
მ. გ. ჯველტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ჰ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. პეტროსიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა" „ 80 კ.
III „ „ნააზრევი" „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „ 85 კ.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა"**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას,

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

მუხრანის კერძო სამკურნალო

საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

	ექიმების მიერ:	დილით:
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და [illegible]	სპეკტიორი გ. მ.	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა.	10—11 ს.
	იაშვილი ა. ლ.	11—12 ს.
	აბაკელია ი. ქ.	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ.	12½—1½ ს.
[illegible] ქირურ. სნეულებანი	გრიგორიანი ა. ი.	11—12 ს.
	მელქონიანი გ. ა.	12—1 ს.
	ჯაში ი. ი.	9½—10½ ს.
საშარდე და გვამის [illegible] ქალ. სნეულებები	გრიგორიანი ა. ი.	11—12 ს.
სნეულებანი საშვილოს. და საბებიო.	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.	11—12 ს.
	ლოლობერიძე	12½—1½ ს.
სნეულ. ყურის, ყელის და ცხვ.	შტრეიხერი მ. ა.	12 12½ ს.
კანის და [illegible] სნეულებ.	შაპელნიკოვი გ. ი.	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606" და „914"**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი ფასებით. 1581

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება საყურადღებო წიგნები.

ნ. მარრ. Исторія терм на „Абхазъ" ф. 5 კ.
Грузинскія приписки греческаго Евангелія изъ Кориди 20 „
Къ вопросу о задачахъ армяно вѣдѣнія 15 „
Яфетическое происхожденіе абхазскихъ терминовъ родства 10 „
О армянской иллюстрованной рукописи изъ Халкедонитск. среды 15 „
Гдѣ сохранилось сванское склоненіе 10 „
Происхожденіе въ охотничьяго быта двухъ грузинскихъ Терминовъ уголовнаго права: გერში და საბაზირო 15 „
Яфетическіе элементы въ языкахъ Арменіи I 15 „
იგივე II 15 „
იგივე III 15 „
Къ вопросу о положеніи абхазскаго языка среди яфетидовъ 85 „
Paul Peeters. S. I. S. Romain le Neomartqr რომანოზ ახალ-მოწამე ქართული ისტ. წყაროებით. 15 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ახალი ჟურნალი „განთიადი"

1913 წლის პირველ იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი

„განთიადი"

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთის მეტყველება და ფილოსოფია: 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწიფო საბჭო და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ეღირება წლიურად 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე" ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურად 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთად და 10 შაურად ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიცარიძის გაზეთების კანტორაში, მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი".

1615 რედაქტორ-გამომცემელი **მღ. ს. მჭედლიძე.**

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კამჩ.) **ხიზილალა,**

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,**

და ყოველგვარი **კონსერვები.**

თევზის მრეწველნი

მმ. მეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი **შავი ხიზილალა**